

2018/2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან რიგგარეშე მობილობის შესახებ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე (www.students.ege.ge) რეგისტრაციის შემდეგ) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წლის პირველი სექტემბრიდან 7 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე (ყოველ დღე შაბათ-კვირის ჩათვლით. მისამართზე: თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი N 264);

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (მაგისტრანტმა ბაკალავრის დიპლომის) ასლი;
5. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების (პირველადი ჩარიცხვის; სტატუსის შეჩერების/ აღდგენის/ შეწყვეტის) დამოწმებული ასლები
6. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).